განკარგულება:**გ-27.27210293**
თარიღი:**29/01/2021**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 03

29 იანვარი 2021წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი სპორტულ-ახალგაზრდული პროგრამის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. დამტკიცდეს თელავის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი სპორტულ-ახალგაზრდული პროგრამა დანართის შესაბამისად.

2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

არჩილი თხლაშიძე

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი

თელავის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი სპორტულ-ახალგაზრდული პროგრამა

№	სპორტულ-ახალგაზრდული ღონისძიების დასახელება	აღწერა	განხორციელების პერიოდი	თანხა (ლარი)
1	სპორტული ღონისძიებების/ინიციატივების განხორციელება და მხარდაჭერა	თელავის მუნიციპალიტეტში შემავალი საჯარო სკოლების მოსწავლეების მონაწილეობით გაიმართება სხვადასხვა სპორტული ოლიმპიადები, ახალგაზრდებს შორის ჩატარდება ტურნირები სპორტის სხვადასხვა სახეობებში, მოხდება სხვადასხვა სპორტული ინიციატივების დაფინანსება	წლის განმავლობაში	1500
2	სპორტული ოლიმპიადა ,,იცხოვრე სპორტით“	პროგრამა ითვალისწინებს თელავის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეების აქტიურ მონაწილეობას	წლის განმავლობაში	10500
3	სპორტსმენებისა და მწვრთნელების წახალისება	პროგრამა ითვალისწინებს თელავის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენებისა და სპორტული კლუბების წევრი, მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების წახალისებას ფულადი ჯილდოთი	წლის განმავლობაში	30000
4	რა? სად? როდის?	პროექტი ატარებს საგანმანათლებლო-შემეცნებით ხასიათს და ტარდება თელავის მუნიციპალიტეტში შემავალი საჯარო სკოლების მოსწავლეებს შორის	წლის განმავლობაში	6000

5	ექსკურსია	მოეწყობა რამდენიმე საგანმანათლებლო-წამახალისებელი ხასიათის ექსკურსია-ბანაკი, როგორც სოციალურად დაუცველი სკოლის მოსწავლეებისათვის, ასევე წარმატებული ახალგაზრდებისათვის	წლის განმავლობაში	41000
6	ახალგაზრდული პროექტები	სხვადასხვა ახალგაზრდული ინიციატივების ფინანსური მხარდაჭერა	წლის განმავლობაში	17200
7	სასკოლო სპორტული ოლომპიადა	პროგრამა ემსახურება ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას მოსწავლეებში	მთელი წლის განმავლობაში	9500
8	ახალგაზრდული საახალწლო შეხვედრა	შემაჯამებელი შეხვედრა ახალგაზრდებთან გაწეული მუშაობის შესახებ, სადაც დაჯილდოვდებიან წარმატებული ახალგაზრდები	დეკემბერი	5000
	ჯამური თანხა			**120 700**